


დანართი №1



გარდაბნის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი
(2023-2026)

სარჩევი:

1. შესავალი.....	3
2. პრინციპები	4
3. ზოგადი ინფორმაცია	5
4. სიტუაციის ანალიზი.....	9
5. პრიორიტეტული მიმართულებები.....	15
6. სტრატეგიის შემუშავების პროცესი.....	16
7. ხედვა.....	17
8. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	18
9. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგის, შეფასების და კოორდინაციის მექანიზმები	21

1. შესავალი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ (შემდგომში „სტრატეგია“) მიზანია, დაარეგულიროს იმ საკითხთა ფართო სპექტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამების, ღონისძიებების დაგეგმვას, მიწოდებასა და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებული იყოს ბავშვებზეც სასკოლო ასაკიდან.

2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის №533 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ დამტკიცდა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ხედვა აღიარებს, რომ გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

„ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.“¹

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების

¹ 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ)

ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი მომსახურებაც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები, შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

2. პრინციპები

სტრატეგია დაფუძნებულია კვლევასა და მტკიცებულებებზე, ზრუნავს ახალგაზრდების ინტერესებსა და თანასწორობაზე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ყველა ეტაპზე. არის მოქნილი და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ხელს შეუწყობს სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას და პარტნიორობის დამყარებას.

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- ახალგაზრდების მონაწილეობა: ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხებათ. სტრატეგიის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება დოკუმენტში. ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა გარანტირებული იქნება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა: სტრატეგიის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- პარტნიორობა და თანამშრომლობა: სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებზეც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა და პრობლემათა დაძლევა

შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. სფეროში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობის დამყარება სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია;

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა: სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;
- გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება: სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

3. ზოგადი ინფორმაცია

გარდაბნის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის მხარის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 310 მ-ზე მდებარეობს. მას აღმოსავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, დასავლეთით – თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - მცხეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით – აზერბაიჯანი. გარდაბანში, არის ორი საბაჟო გამშვები პუნქტი (სახმელეთო -12კმ, სარკინიგზო -2კმ) აზერბაიჯანთან. რაიონის ფართობი შეადგენს – 1304.1 კმ². ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქ. გარდაბანი (ტერ. ორგანო), რომელიც თბილისიდან დაშორებულია 42 კმ-ით, ხოლო რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან 12-კმ-ით. (www.wikipedia.org 2021)



ქვემო ქართლის მხარე



საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც.

მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერი) ორგანოები – მუნიციპალიტეტის ორგანოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებათა განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მექანიზმია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება (მუხლი 19), ხოლო მერს შეუძლია, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება (მუხლი 54).

1.1. მუნიციპალიტეტის დასახელება:	გარდაბანი
1.2. მხარე:	ქვემო ქართლი
1.3. ადმინისტრაციული ერთეულები	<p>გარდაბანის მუნიციპალიტეტს აქვს 19 ადმინისტრაციული ერთეული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ე. გარდაბნი 2. ალთაკლია 3. ყარათკლია 4. ყარაჯალარი 5. კრწანისი 6. ქესალო 7. ნაზარლო 8. ვახტანგისი 9. ჯანდარა 10. ლემშვანიერა 11. კალინინო 12. ახალი სამგორი 13. გამარჯვება 14. თელეთი 15. ნორიო 16. კუმისი 17. მარტყოფი 18. ახალსოფელი 19. სართიჭალა <p>მუნიციპალიტეტში 40 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 39 სოფელი.</p>
<p>1.4. მოსახლეობა:</p> <p>1.4.1 სქესის ჭრილში განაწილება:</p> <p>1.4.2 ეთნიკურ ჭრილში განაწილება:</p> <p>1.4.3 სოფელი/ქალაქი/დაბა განაწილება:</p>	<p>1.4 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 81 876 კაცია</p> <p>1.4.1 კაცი - 40 144; ქალი - 41 732;</p> <p>1.4.2 მუნიციპალიტეტში ძირითადად ქართველები და აზერბაიჯანელები და</p>

	<p>სომხები ცხოვრობენ;</p> <p>აქედან ქართველები 44398 კაცი (54,23%) აზერბაიჯანელები -35,642 კაცი(43,53%),</p> <p>სომხები 602 კაცი (0,74%);</p> <p>1.4.3 ქალაქში ცხოვრობს 10 753, ხოლო სოფლად - 71 123.</p> <p>(2021 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობა 80 300 კაცს შეადგენს).</p> <p>2014 წლის შემდეგ არ ჩატარებულა საყოველთაო აღწერა.</p>
<p>წყარო:</p>	<p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021</p>
<p>1.5. ახალგაზრდების რაოდენობა:</p> <p>1.5.1 14-18 წლის:</p> <p>1.5.2 19-24 წლის:</p> <p>1.5.3 25-29 წლის:</p>	<p>1.5 სულ 19 122 კაცი.</p> <p>1.5.1 14-18 წლის: 5 110, აქედან კაცი -2 770; ქალი - 2 340;</p> <p>1.5.2 19-24 წლის: 7 464 , აქედან კაცი -3 779; ქალი - 3 685;</p> <p>1.5.3 25-29 წლის: 6 548, აქედან კაცი - 3 321; ქალი - 3 227;</p>

წყარო:	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021
1.6. დასაქმების მაჩვენებელი: 1.6.1 ზოგადად: 1.6.2 ახალგაზრდების:	1.6 2021 წლის მონაცემები არ არის დაკონკრეტებული მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც შეეხება რეგიონს - ქვემო ქართლში დასაქმების მაჩვენებელი არის 39%; სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე, 50,1%. ხოლო 2014 წლის მონაცემებით დასაქმების მაჩვენებელი მოსახლეობაზე პროცენტულად გადანაწილებული იყო შემდეგნაირად: ქართველი 54,23% (44398 კაცი); აზერბაიჯანელი 43,53% (35,642 კაცი); სომეხი 0,74%(602 კაცი); 1.6.2 2014 წლის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდების რიცხვია 40 024 კაცი;
წყარო:	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021

4. სიტუაციის ანალიზი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის სიტუაციის ანალიზი სიტუაციის ანალიზი ჩატარდა პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფში (იხ. ჯგუფის შექმნის ბრძანება 3/9486114 - 15/11/2021) . მეთოდოლოგია მოიცავდა სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“-ს და კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისისთვის ჩატარებული ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის ანალიზს, ხოლო სამართლებრივი ბაზად ძირითადად გამოყენებულია „საქართველოს ახალგაზრდობის კონცეფციის 2020-2030“, მეთოდოლოგიურ მასალად კი „მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტი“.

უმუშაოდ კვლევის შედეგები გაანალიზებულია პრობლემის ხის მეთოდით, რათა გამოვლენილიყო პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი უარყოფითი შედეგები, რომელთა მოგვარებაც არის მოცემული სტრატეგიის მიზნები.


ახალგაზრდების განვითარებისათვის ხელშეწყობა, პირველ რიგში მოიაზრებს მათთვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების და კიდევ უფრო დახვეწის საშუალება მიეცემათ, ამისთვის მნიშვნელოვანია გარემო პირობების გათვალისწინება და მათზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა, იქნება ეს ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული თუ სპორტული.

როგორც სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ინიცირებით, კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითის“ მიერ მომზადებული კვლევის შედეგები მოწმობს - „აქტივობები უმეტესად მუნიციპალურ ცენტრებში იგეგმება, რის შესახებაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია ახალგაზრდებისთვის სოფლის ტიპის დასახლებებიდან და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფიდან, რამდენადაც ინფორმაციაც აქტივობების შესახებ ქართულ ენაზეა და აქტივობებიც, რომლებიც იგეგმება,“ („ეისითი“ აგვისტო, 2021, 4) ამასთანავე ღონისძიებებში ცენტრიდან მომორებით მდებარე სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ მონაწილეობის შესაძლებლობა. გარდა იშვიათი გამონაკლისისა, რაც მათ მიერ პრობლემატურად ფასდება:

„იმის შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, უჭირს გამოკითხულთა მესამედს ქვემო ქართლის რეგიონში (32%). რესპონდენტების 23%-ის აზრით, ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში თან გათვალისწინებულია, თან არა. ამასთან, 15% ამბობს, რომ მათნაირი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, მეხუთედი კი პირიქით, მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არის/არ არის გათვალისწინებული ინტერესები (20%). გარდაზნის მუნიციპალიტეტში მეხუთედს უჭირს აღნიშნულის შეფასება (22%), ათიდან ოთხი გამოკითხული კი ფიქრობს, რომ მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებული არ არის (39%)“.

(„ეისითი“ აგვისტო, 2021, 19)

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კვლევაში გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობას არ სმენია ახალგაზრდული მუნიციპალური პროგრამების/სერვისების შესახებ (79%). რესპონდენტების ნახევარს უჭირს შეაფასოს, თუ ვინ არის ძირითადად ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ინიციატორი მათ მუნიციპალიტეტში (52%), მეოთხედი კი მიიჩნევს, რომ ძირითადად თავად ახალგაზრდები არიან ინიციატორები (24%). გარდაზნის მუნიციპალიტეტშიც გამოკითხულთა ნახევარს უჭირს აღნიშნულის შეფასება (50%), მესამედი კი აქტივობების ინიციატორად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ასახელებს (27%).



(„ეისითი“ აგვისტო, 2021)

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების მსგავსად, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ აღნიშნულის მთავარი მიზეზი ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები იყო, სამუშაო ჯგუფის წევრების შეფასებით დაგეგმილ ღონისძიებათა უმრავლესობის მუნიციპალურ ცენტრებში ორგანიზების მთავარი მიზეზი არასაკმარისი ფინანსური რესურსია. აღნიშნული შეუძლებელს ხდის აქტიუობათა ორგანიზებას ბევრ სხვადასხვა ლოკაციაში (მაგ. სოფლებში), შესაბამისად, მუნიციპალიტეტები იღებენ გადაწყვეტილებას მათი მუნიციპალურ ცენტრებში ორგანიზების სასარგებლოდ. ამას ისიც ემატება, რომ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი სისტემატიური ხასიათი მისცენ ახალგაზრდების სოფლებიდან მუნიციპალურ ცენტრებში ტრანსპორტირებას.


გარდაბნის მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების შეფასებით, აუცილებელია ისეთი მექანიზმის მოფიქრება, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვას პროექტებში როგორც თავიანთ სოფლებში, ასევე მუნიციპალურ ცენტრებში.

“აუცილებელია თანხების გამოწახვა და ახალგაზრდული მიმართულების ისე განვითარება, რომ ყველა პროექტი თუ ღონისძიება იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ახალგაზრდისთვის, იქნება ის სოფ. მარტყოფის თუ ქალაქ გარდაბნის მაცხოვრებელი“. (სამუშაო ჯგუფის წევრი)

ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა გამოწვევები, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შესაბამისი აუდიტორიის არასათანადოდ ინფორმირების კუთხით, სადაც სამუშაო ჯგუფში გაწვევრიანებული ახალგაზრდების მოსაზრებით - ინფორმაციის გავრცელების წყაროს მხოლოდ სოციალური ქსელები, კერძოდ, მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებ და ფეისბუქ


გვერდები წარმოადგენს, ამასთანავე ჯგუფის ის წევრები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენენ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მექანიზმად ადგილობრივი ტელევიზიისა და სოფლების გამგებლების ჩართულობასაც ასახელებენ:

“კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ახალგაზრდულ პროგრამებსა და სერვისებთან დაკავშირებით გამოთქვეს მოსაზრებები. აღმოჩნდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში რესპონდენტების ნახევარზე მეტი ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან (მუნიციპალური პროგრამები, სერვისები, სიახლეები) დაკავშირებით იღებს მეგობრებისგან/ახლობლებისგან (68%). აღნიშნულ ინფორმაციას გამოკითხულთა ასევე დიდი ნაწილი (70%) იღებს სხვადასხვა ინტერნეტ რესურსიდან (მუნიციპალიტეტის სოციალური გვერდი (ფეისბუქ გვერდი), ასევე ვებგვერდი და სხვადასხვა გვერდი სოციალურ ქსელში). გარდაბნის მუნიციპალიტეტში აღნიშნულისთვის ინფორმაციის მიღების წყარო უმრავლესობისთვის ინტერნეტ რესურსებია (56%), სადაც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საერთოდ არ იღებს რესპონდენტთა 35%“. („ეისითი" აგვისტო, 2021)



(„ეისითი" აგვისტო, 2021)


რაც შეეხება ისეთ გამოწვევებს, როგორცაა უმუშევრობა - ჩატარებული კვლევის მიხედვით პროცენტული მაჩვენებლის ჭრილში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია მუნიციპალიტეტში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 75% მთავარ პრობლემად სამუშაო ადგილების სიმწირეს ასახელებს, ამასთანავე 63% სამუშაოს მისაღებად სანაცნობო წრის ფაქტორს, ხოლო 51% მუშაობის გამოცდილებას ასახელებს. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდები ძირითადად დედაქალაქში საქმდებიან.



საგულისხმოა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონში დასაქმების შესაძლებლობის შეფასება, როგორც „ძალიან რთულისა“ იზრდება. კერძოდ, თუ ასე მიიჩნევს 14-17 წლის ახალგაზრდების მესამედი (30%), 18-23 წლის ასაკში ასეთია თითქმის ყოველი მეორე გამოკითხულის შეფასება (47%); უფროს ასაკში კი ეს მაჩვენებელი 67%-ია. განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულზე უფროსი თაობის (24-29 წლის) ახალგაზრდების მიერ გამახვილდა. მათი შეფასებით, სწორედ დასაქმებასთან არსებული პრობლემის არსებობის გამო ტოვებს ახალგაზრდების დიდი ნაწილი მუნიციპალიტეტს და უკეთესი სამუშაო თუ საცხოვრებელი პირობების საძიებლად მიდის შიდა თუ გარე მიგრაციაში.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 58% ქვემო ქართლის რეგიონში თვლის, რომ მხარდაჭერა პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში დაეხმარებოდა მათ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს დასაქმებაში. ამასთან, ახალგაზრდების 46% მიიჩნევს, რომ სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა და სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა ასევეა არსებითი. პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში

მხარდაჭერას მიიჩნევს მნიშვნელოვნად გარდაბნის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 68%, მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მესამედი სტაჟირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობას/სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობებსა (32%) და ინგლისური ენის შესწავლა-დახვეწაში (30%) მიიჩნევს მხარდაჭერას მნიშვნელოვნად.



(„ეისითი“ აგვისტო, 2021)

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ახალგაზრდულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, დასვენებას, სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას, იმის შეფასება, გათვალისწინებულია თუ არა ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, უჭირს გამოკითხულთა მესამედს ქვემო ქართლის რეგიონში (32%). რესპონდენტების 23%-ის აზრით, ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში თან გათვალისწინებულია, თან არა. ამასთან, 15% ამბობს, რომ მათნარი ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებულია, მეხუთედი კი პირიქით, მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არის/არ არის გათვალისწინებული ინტერესები (20%). გარდაბნის მუნიციპალიტეტში მეხუთედს უჭირს აღნიშნულის შეფასება (22%), ათიდან ოთხი გამოკითხული კი ფიქრობს, რომ

მათი მსგავსი ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გათვალისწინებული არ არის (39%).

5. პრიორიტეტული მიმართულებები

როგორც ამ კვლევის შედეგები მოწმობს, ახალგაზრდების ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ძირითადად ინფორმანტებმა უმუშევრობა და ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცეების სიმწირე გამოყვეს, რომელთა გამოყენებაც ახალგაზრდებს არაფორმალური განათლების, კომუნიკაციისა და გართობისთვის შეეძლებათ. აღნიშნული პრობლემები იდენტიფიცირდა კვლევის მონაწილე ახალგაზრდების მიერაც. უმუშევრობა პრობლემად გამოიკვეთა ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის (გარდა სასკოლო ასაკისა), რაც, კვლევის რესპონდენტთა შეფასებით, რეგიონიდან მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზიცაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში *ახალგაზრდების ჩართულობა* ძალიან დაბალია, მნიშვნელოვანია მათი გააქტიურება და ამისთვის აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებიდან, რომლებიც განხილულია მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტში, გარდაბნის შემთხვევაში გამოიკვეთა: (კვერნაძე 2021, 11)

1. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას.
2. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და უმუშევრობასთან ბრძოლა.
3. პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობების შექმნას.

6. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე (იხ. დანართი 1) და მათი პარტნიორობის შედეგად, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა სხვა დაინტერესებული მხარეები: ახალგაზრდები, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები, ა(ა)იპ-ები, საკრებულო და სხვა.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ახალგაზრდობის კვლევა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რომელიც ჩატარდა სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა (იხ. დანართი 2²);
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრები სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

სტრატეგია ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს,

² კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 101 ახალგაზრდა. კვლევის შედეგები არ არის (მუნიციპალიტეტის) წარმომადგენლობითი. საბაზისო მაჩვენებელში მოცემულია გამოკითხული ახალგაზრდების პროცენტული განაწილება.

ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

7. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესით და უსაფრთხო გარემოში, აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, აქვთ ინფორმაციული წვდომა და მხარდაჭერილია მათი ინიციატივები, მათთვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული პროგრამები, აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემ-წყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

8. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

გარდაბნის მუნიციპალიტეტი ახალგაზრდობის მხარდაჭერის თვალსაზრისით მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევაზე დაყრდნობით გამოიკვეთა სამი გამოწვევა, რაც შემდგომში გაიწერა როგორც მიზანი, შესაბამისი ამოცანებით.

სტრატეგია, მოცემული მიზნების ფარგლებში ითვალისწინებს - ახალგაზრდების ჩართულობას ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათთვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნას, რათა სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის მათთვის ფუნდამენტური, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას.

სტრატეგიული მიზანი 1. ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა

„ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ განახლებული ევროპული ქარტიის თანახმად: „საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ან კანდიდატურის დაყენება, მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის და ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისთვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“³

ამოცანები:

- 1.1. ახალგაზრდების ინფორმირება თავიანთი უფლებებისა და სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ;
- 1.2. მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
- 1.3. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა;

³ ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია, მიღებულია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ (მე-10 სესია, 2003 წლის 23 მაისი).

მონაწილეობა აძლიერებს ახალგაზრდებს და აძლევს მათ საშუალებას შეასრულონ წამყვანი ფუნქცია როგორც საკუთარი თავის, ასევე, თემის განვითარების მიმართულებით, შეიძინონ საკვანძო უნარ-ჩვევები, მათ შორის, მოქალაქეობრივი კომპეტენციები და ხელი შეუწყონ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

„ახალგაზრდობის ხელშემწყობი პირობები და გარემო უცილობლად მოიცავს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა დონესა და სფეროში. ამ გზით შესაძლებელი ხდება მჭიდრო კავშირის დამყარება, ერთი მხრივ, მოზარდებსა და ახალგაზრდებს და, მეორე მხრივ, ახალგაზრდებსა და უფროს თაობას შორის. გარდა ამისა, ისინი იძენენ როგორც მართვის, ასე საზოგადოებრივი საქმიანობის გამოცდილებას და ამის კვალობაზე მალღდება მათი პასუხისმგებლობაც“. (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება,, 2001)

სტრატეგიული მიზანი 2. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობის გაზრდა

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად დასაქმება ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად გამოიკვეთა. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში მათთვის სასურველი სამსახურის შოვნა რთულია. ასევე რთულია მათი პროფესიის შესაბამისად დასაქმება, რაც ნეგატიურად მოქმედებს ახალგაზრდების პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობაზე.

ამოცანები:

- 2.1. ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობების შექმნა;
- 2.2. ახალგაზრდების ინფორმირება განათლების პროგრამების შესახებ, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებასა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერას;

განათლების სისტემიდან შრომის ბაზარში ჩართვა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა. ბევრი ახალგაზრდა უმუშევრობის ფაქტის წინაშე დგება თვეების და წლების განმავლობაში, სანამ იპოვის პირველ სამუშაოს ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ. გადასვლის პერიოდი ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ნელმა ან გართულებულმა ჩართვამ შრომის ბაზარში შეიძლება ხანგრძლივი გავლენა იქონიოს პიროვნების მომავალ

კარიერასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ამიტომ ახალგაზრდებს ესაჭიროებათ დასაქმების შესაძლებლობები, რათა სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

„საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაღალი დონის დაბალანსებისთვის მნიშვნელოვანია მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მეწარმეობისა და ინოვაციის კულტურის შექმნა მოითხოვს მრავალფეროვან ღონისძიებებს, როგორცაა: უნარ-ჩვევების განვითარება, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, ქოუჩინგი და მენტორობა, ინფორმაციისა და დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. მეწარმეობა უნდა გახდეს ფორმალური და არაფორმალური სწავლების, ასევე კარიერული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი“. („საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა - მიწოდების შესაბამისობა"(ანგარიში), 2020)

სტრატეგიული მიზანი 3. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობების შექმნა

საქართველოში ბევრი ახალგაზრდა მისდევს ცხოვრების არაჯანსაღ წესს, რომელიც მოიცავს: ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბ მოხმარებას, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხმარებას, აზარტულ თამაშებს, მთვრალ მდგომარეობაში და უსაფრთხოების ღვედების გარეშე ავტომობილის მართვას, არასწორ კვებას და ჭარბწონიანობას. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ახალგაზრდებში იწვევს აბორტებს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებასა და ნაადრევ ქორწინებებს.

ამოცანები:

- 3.1. ახალგაზრდების ინფორმირება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ;
- 3.2. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება;
- 3.3. ახალგაზრდებში სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ახალგაზრდების შეგნების ამაღლება, მათთვის ფუნდამენტური, ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდება;

9. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგის, შეფასების და კოორდინაციის მექანიზმები

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

სტრატეგიის საერთო მართვაზე, განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალურ უწყებას, რომლის კომპეტენციაშიც იქნება ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდებს, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე და ნაკლებად აქტიურებს, ჰქონდეთ სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობის სრული შესაძლებლობა. ისინი არამხოლოდ მუნიციპალური აქტივობების, სერვისების და პროგრამების ბენეფიციარები არიან, არამედ ჩართული იქნებიან პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაშიც.

მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სტრატეგიის განხორციელებაზე მათი საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით. ისინი გაითვალისწინებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, სერვისები და აქტივობები შესაბამისობაში იყოს სტრატეგიასთან იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არაა მითითებული სტრატეგიაში.

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დამლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სხვა მნიშვნელოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის განხორციელებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტრატეგიის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ახალგაზრდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. ამ მიზნით რეგულარულად შეგროვდება სარწმუნო მონაცემები როგორც ბენეფიციარებიდან, ასევე აქტივობების

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან და ჩატარდება შესაბამისი კვლევები. კვლევისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდება სტრატეგიის გადახედვა, ადაპტირება და სრულყოფა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა. ამ პროცესში ყველა ეტაპზე ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ყოველი წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტი გამოაქვეყნებს სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს. რომელიც შეაფასებს სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღწეულ პროგრესს. ანგარიშში ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, მომავალი წლის გეგმები;
- ანგარიშის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში შევა ცვლილებები და დამატებები - სარწმუნო მონაცემების, მათი ანალიზისა და მიღებული გამოცდილების შედეგად დაინერგება ახალი აქტივობები და მიდგომები და გაუმჯობესდება მიმდინარე. სტრატეგია იქნება მოქნილი ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების ორიენტირებული;
- 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ განხორციელდება სტრატეგიის საბოლოო შეფასება. ანგარიში შეაჯამებს სტრატეგიის განხორციელების წარმატებას მისი ხედვისა და მიზნების შესაბამისად. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით მოხდება ახალი დოკუმენტის შემუშავება და მიღება.

სტრატეგიის განხორციელების ამსახველი ანგარიშები განსახილველად წარედგინება საკრებულოს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს, მოხდეს მათი საჯარო განხილვა ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.